როზეტა ასათიანი

ზოგადი ეკონომიკური თეორია უნდა ისწავლებოდეს საქართველოს უნივერსიტეტებში



მკითხველმა მიიღო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის ახალი ნაშრომი – „ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა“.

ამთავითვე ვიტყვი, რომ პროფესორი როზეტა ასათიანი ორიგინალური მიდგომებით გამორჩეული მკვლევარია. იგი თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებში ღრმად ჩახედული, პოსტსოციალისტური პერიოდის საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების თანმიმდევრულად შესწავლის ინიციატორია. ამჯერადაც, მისი ახალი ნაშრომი ეძღვნება მწვავე და მრავალმხრივობით გამორჩეულ პრობლემას, რომელიც ყოველთვის იწვევდა საზოგადოებისა და განსაკუთრებით, მეცნიერ-ეკონომისტთა ინტერესს.

პრობლემის განხილვა შემოთავაზებულია საკითხის დასმის წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორს საჯაროდ გამოაქვს საკუთარი შეხედულებები და არ ერიდება აღნიშნული პრობლემის საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანას. ასეთი მიდგომა ყოველმხრივ გამართლებულია. იგი ხელს უწყობს ურთულეს თემებზე აზრების გაზიარებას, მათ შეჯერებასა და გონივრულ კომპრომისს.

ამ კონტექსტში მიზანშეწონილად მივიჩნევთ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება დასმულ პრობლემასთან მიმართებაში.

საკამათო არ არის, რომ ამ პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პოსტსოციალისტურ პერიოდში, როცა რეალურად დადგა სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთული ამოცანა. საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელმა კრიზისულმა მდგომარეობამ (ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნგრევა, სამეცნიერო პოტენციალის მოშლა, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, სხვის ხარჯზე ცხოვრების ფსიქოლოგიის დამკვიდრება, შრომისადმი, ცოდნისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და სხვ.), გარკვეული თვალსაზრისით, საზოგადოებაში ეკონომიკური მეცნიერების მიმართ ეჭვები დაბადა და მისადმი უნდობლობა გააძლიერა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში მარქსისტული თეორიის მიმართ ჩამოყალიბებულმა ნეგატიურმა შეხედულებამ. შემდგომ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის უარყოფითმა ტენდენციებმა უფრო გაამძაფრა საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ეკონომიკური თეორიების მიმართ. უმაღლესმა სკოლამ და სამეცნიერო წრეებმა ორიენტაცია გამოყენებით ეკონომიკაზე აიღეს და გზა გაუხსნეს „ეკონომიქსს“, როგორც საბაზრო ეკონომიკის თეორიას. დღეს საქართველოში ზოგადი ეკონომიკური თეორიის ნაცვლად ძირითადად ისწავლება ამერიკელი ავტორის გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელო „ეკონომიის პრონციპები“ (უნდა იყოს „ეკონომიქსის პრინციპები“).

პროფ. როზეტა ასათიანის აზრით, „ეკონომიქსი“ ვერ შეცვლის ზოგად ეკონომიკურ

თეორიას. და თუ რატომ, ამას შესაბამისი არგუმენტებით დამაჯერებლად ასაბუთებს. მისი აზრით „ეკონომიქსი არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ საბაზრო სისტემაში საზოგადოება თავისი უსაზღვრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით რა საზოგადოებრივი ფორმით, რა გზებით წყვეტს შეზღუდული რესურსებით რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს.. იგი პრაქტიკით გაჯერებული, პრაქტიკაზე ორიენტირებული თეორიაა, საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია... ეკონომიქსი ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზისას მხოლოდ საბაზრო სისტემაში შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების კვლევით იფარგლება“ (გვ. 37-38).

რაც შეეხება ზოგად ეკონომიკურ თეორიას, იგი ავტორის აზრით, „ყველა ეკონომიკური მეცნიერების საფუძველთა საფუძველია, მეთოდოლოგიური ბაზაა, არ არის მოქცეული ერთი ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში და სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, ეპოქების ცვალებადობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, გლობალურ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს... იკვლევს ეკონომიკურ კანონებს, სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, ადგენს ზოგად კანონზომიერებებს, რის საფუძველზეც იძლევა საზოგადოების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტურ მეცნიერულ დასაბუთებას. ზოგადი ეკონომიკური თეორია ყოველივე ამას ერთ სისტემაში აქცევს“ (გვ. 37-38).

მიგვაჩნია, რომ ავტორის მოსაზრება მართებულია.

ზოგადი ეკონომიკური თეორიის კონტექსტში ავტორი, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა დასავლურ ლიტერატურაში დღესაც გავრცელებულ ტერმინს – „პოლიტიკური ეკონომია“. ის მათ, გარკვეულწილად, მიჯნავს და მიიჩნევს, რომ თანამედროვე პირობებში პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების კანონზომიერებებს. იგი სახელმწიფო მოწყობის ეკონომიკური საფუძვლების შემსწავლელი მეცნიერებაა. თუმცა ზოგადი ეკონომიკური თეორია, როგორც ეკონომიკური მეცნიერების საწყისი, ფართო გაგებით, თავად მოიცავს პოლიტიკურ ეკონომიას (გვ. 42-43).

მეთოდოლოგიურად ეს მიდგომა სწორია. ნაშრომში ფართოდ არის განხილული ეკონომიკური თეორიის გენეზისის აქტუალური ასპექტები, ეკონომიკური მეცნიერების დივერსიფიკაციის პროცესი და განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ეკონომიკური თეორიების როლი და მნიშვნელობა. ახსნილია პრაქტიკაში თუ რატომ იძლეოდა არსებული თეორიები განსხვავებულ შედეგებს, რამ გამოიწვია ლიბერალურ-კლასიკური თეორიის „კეინზიანური რევოლუციით“, ამ უკანასკნელის კი „ანტიკეინზიანური რევოლუციით“ ჩანაცვლება, ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულ საზოგადოებად გარდაქმნა და სხვ.

უაღრესად ანგარიშგასაწევია კეინზიანური თეორიის როლის ავტორისეული შეფასება. მისი აზრით, „მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანურმა მოდელმა დააჩქარა კაპიტალიზმის ახალ თვისებრიობაში გადაზრდა: „ველური კაპიტალიზმი ევოლუციური გზით გარდაიქმნა საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ, მაკროეკონომიკური რეგულირებით განმტკიცებულ ეკონომიკურ სისტემად, რომლის განმსაზღვრელ ფენომენად ბაზარი წარმოჩინდა... კეინზიანურმა მოდელმა უარყო ეკონომიკურ პოლიტიკაში გაბატონებული სმითისეული კონცეფცია და ადგილი სოციალურ ორიენტაციაზე მორგებულ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტს დაუთმო“ (გვ. 8).

პრინციპული პოზიცია აქვს ავტორს მონეტარიზმის მიმართ: **„ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში... ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოწყდა რეალურ ეკონომიკას, მსოფლიოს უბიძგა ფინანსური კრიზისისკენ, რომელიც შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა... ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის, საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათისა და ფასეულობების წარმოებაა. სამწუხაროდ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული... ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა“** (გვ. 20).

ორივე ამონარიდი იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ მარტივად და გასაგებად შეიძლება აიხსნას ეკონომიკური თეორიის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში, და ქვეყნისთვის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

ორიგინალურად მიუდგა ავტორი ზოგადი

ეკონომიკური თეორიისა და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნას. მართებულია მისი დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში, კლასიკური ფორმით, არც ერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია, მით უმეტეს კეინზიანური მოდელი. საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზიც, პირველ ყოვლისა, „სწორედ არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ“ (გვ. 28).

არაადეკვატური პოლიტიკის შედეგად ეროვნული ეკონომიკა სისტემურ კრიზისში აღმოჩნდა. ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, გამოიწვია „სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმით ჩანაცვლება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან“ (გვ. 29).

ასეთ დასკვნას არა მხოლოდ ღრმა თეორიული, არამედ დიდი პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს. უნდა დავეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ თანამედროვე პირობებში გლობალიზაცია, როგორც მოვლენა და პროცესი, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ზოგად ეკონომიკურ თეორიას. ამ კონტექსტში განხილულია ამჟამად არსებული ეკონომიკური თეორიები, რომლებიც ეკონომიკური სკოლების, მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბდა და გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციებში. მაგალითად, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია, მიკროეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკური თეორია, ღირებულების თეორიები, მონეტარული თეორია და მრავალი სხვ. (გვ. 33-24). ისინი, როგორც ავტორი მართებულად მიუთითებს, სხვადასხვა კუთხით იკვლევს თანამედროვე მრავალწახნაგოვან ეკონომიკას და, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მთლიანობაში ქმნის ზოგად ეკონომიკურ თეორიას.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორის დასკვნას იმის შესახებ, რომ „ზოგადი ეკონომიკური თეორია არ არის კოსმოპოლიტური მეცნიერება. მასში ეროვნული მოტივის შემოტანის აუცილებლობას დღევანდელი ცხოვრებაც გვკარნახობს. ამიტომ... უნდა განვავითაროთ იგი, რომ შევძლოთ ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტური ანალიზი, პროგნოზირება, რაც მისი სწორი მიმართულებით განვითარების საწინდარია“ (გვ. 36).

ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლებას, რომელიც „ხიდია წარსულსა და მომავალს შორის. იგი არკვევს ეკონომიკური მოვლენის ისტორიულ წინაპირობებს, საიდან და რა მიზეზით წარმოიშვა იგი, გვეხმარება ტენდენციების დადგენაში და გვიჩვენებს, საით და როგორ წარიმართება ეკონომიკური განვითარება“.

სავსებით ვეთანხმებით ავტორის მოსაზრებას, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში აუცილებელია ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლება. ამ საგნით უნდა დაიწყოს I კურსი. იგი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს, 10-კრედიტიანი (ორი სემესტრი). კვირაში 2 საათი ლექცია და 2 საათი სემინარი). ავტორს სავსებით ვეთანხმებით იმაშიც, რომ ზოგადი ეკონომიკური თეორიის კურსის გავლის შემდეგ უნდა ისწავლებოდეს „ეკონომიქსი“, ხოლო შემდგომ, მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. ასეთი დანმიმდევრობით სწავლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკური აზროვნების განვითარებას, ახალგაზრდა კვალიფიკაციური კადრების საფუძვლიან მომზადებას, საერთოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ნოდარ ჯითანავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

2 თებერვალი, 2013.